

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული საბჭოს დებულება

1. ზოგადი დებულებები

- 1.1 საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული საბჭო (შემდეგში საბჭო) არის ფედერაციის სტრუქტურაში შემავალი, სპორტულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიმღები უმაღლესი ორგანო;
- 1.2 სპორტული საბჭო მოქმედებს საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული კოდექსის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

2. სპორტული საბჭოს სტრუქტურა (შემადგენლობა და ფორმირება)

- 2.1 სპორტული საბჭოს წევრთა რაოდენობას, შემადგენლობას და თავმჯდომარეს ამტკიცებს ფედერაციის გამგეობა;
- 2.2 სპორტული საბჭო უნდა შედგებოდეს მინიმუმ 5 (ხუთი) წევრისგან. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ წევრთა 2/3-ის მონაწილეობით. კენჭისყრისას ხმათა თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა;
- 2.3 სპორტული საბჭოს თავმჯდომარე პასუხისმგებელია და უზრუნველყოფს სპორტული საბჭოს გამართულ მუშაობას და ანგარიშვალდებულია სსსფ-ის მმართველი ორგანოს წინაშე;
- 2.4 სპორტული საბჭოს წევრი შესაძლოა იყოს ფიზიკური პირი, რომელსაც საბჭოს დამტკიცების მომენტისთვის შეუსრულდა 21 წელი;

3. სპორტული საბჭოს ფორმირების წესი

- 3.1 სპორტული საბჭო კომპლექტდება სსსფ-ის შემადგენლობაში არსებული ყველა მოქმედი კომისიის თავჯდომარისგან ან

კონკრეტული კომისიის მიერ წარდგენილი კომისიის თავმჯდომარის მოადგილისგან;

3.2 საბჭოს თავმჯდომარედ შესაძლებელია არჩეულ იქნას ფედერაციის პრეზიდენტი;

3.3 ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი რომელიმე კომისიის მოთხოვნით, სპორტულ საბჭოში შესაძლებელია პროფილური სპეციალისტის შეყვანა, მაგრამ მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3 (სამი) ერთეულს;

3.4 საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების პერიოდს ასახელებს გამგეობა, რომელსაც გამოსცემს დამატებით დოკუმენტის სახით;

4. სპორტული საბჭოს ფუნქციები

4.1 საბჭო წარადგენს კანდიდატებს ფედერაციის სპორტული სასამართლოს შემადგენლობისთვის;

4.2 საბჭო ამტკიცებს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის მიხედვით ჩატარებული შეჯიბრებების წლიურ შედეგს;

4.3 სპორტული საბჭოს იურისდიქცია ვრცელდება შემდეგ საკითხებზე:

ა) სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის დამტკიცება შესაბამისი სარბოლო კომისიების (სატრეკო და არასატრეკო ტიპის რბოლების კომისიები) მიერ სპორტულ ღონისძიებათა რაოდენობრივი განაცხადების წარმოდგენის შემდეგ;

ბ) ორგანიზატორებზე ლიცენზიის გაცემის ან არ გაცემის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება;

გ) ორგანიზატორებთან მიმართებაში სანქციების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება თანახმად საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული კოდექსისა შესაბამისი კომისიის წარდგინებით;

დ) შესაბამისი კომისიის მიერ წარმოდგენილი შეჯიბრების ან შეჯიბრებათა ჯგუფისთვის სტატუსის განსაზღვრა ან/და მინიჭება;

ე) იღებს გადაწყვეტილებებს მრბოლელების და სპორტული გუნდების მიერ ჩადენილი გადაცდომების შესახებ;

ვ) იღებს გადაწყვეტილებებს ლიცენზირებული პირების (კომისრები, მარშლები ა.შ.) მიმართებაში, როგორც ლიცენზიის გაცემაზე, ასევე შეჩერებაზე, ფინანსურ სანქციასა და დისკვალიფიკაციაზე;

5. სპორტული საბჭოს გადაწყვეტილებები

5.1 სპორტული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

5.2 სპორტული საბჭოს ვალდებულია გამოაქვეყნოს მიღებული გადაწყვეტილებები სსსფ-ის ინფორმაციულ წყაროებში;

6. გარდამავალი დებულებები

6.1 სპორტული საბჭო უფლებამოსილია სსსფ-ს გამგეობის მიერ მისი დამტკიცების დღიდან, ახალი შემადგენლობის არჩევამდე;

6.2 საბჭოს შემადგენლობის დამტკიცება გამგეობის მიერ, ხდება ერთი წლის ვადით. კომისიის წევრის გამოკლების შემთხვევაში, კომისიის უფლებამოსილების ამოწურვამდე, გამგეობის გადაწყვეტილებით ხდება კომისიის შემადგენლობის შევსება (დაკომპლექტება);

დამტკიცებულია სსსფ-ს გამგეობის მიერ:

11.03.2019 წელი.

სხდომის თავმჯდომარე: _____ /დავით მჭედლიშვილი/

სხდომის მდივანი: _____ /გიორგი გელაშვილი/